სახელმწიფო აუდიტის სამსახური

გენერალური აუდიტორის ბრძანება

№ 004173/21

28/06/2022

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2022 წლის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“ გენერალური აუდიტორის 2021 წლის 30 დეკემბრის №016239/21 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის „ბ“ და „ი“ ქვეპუნქტების, მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ გენერალური აუდიტორის 2013 წლის 1 თებერვლის №14/37 ბრძანებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2022 წლის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“ გენერალური აუდიტორის 2021 წლის 30 დეკემბრის №016239/21 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2022 წლის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმა ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმის 2022 წლის 28 ივნისის №004134/30 ოქმი.

ერეკლე მექვაბიშვილი
გენერალური აუდიტორი

2022

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

აუდიტორული საქმიანობის 2022 წლის გეგმა

2022

სარჩევი

ნაწილი 1. ზოგადი მიმოხილვა 3

1. შეჯამება 3
2. აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენის პროცესი 4

ნაწილი 2. აუდიტორული საქმიანობის გეგმა 5

1. ფინანსური აუდიტები 5
2. უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტები 7
3. შესაბამისობის თემატური აუდიტები 8
4. ეფექტიანობის აუდიტები 12

ნაწილი 1. ზოგადი მიმოხილვა

1. შეჯამება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა რისკზე დაფუძნებული მიდგომის შესაბამისად, 2022 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმა განისაზღვრა **54 აუდიტით**, რომლითაც იგეგმება ქვეყნის **ნაერთი ბიუჯეტის 91%-ის დაფარვა**. 2021 წელთან შედარებით, ერთი პროცენტული პუნქტით იზრდება ბიუჯეტის დაფარვის მაჩვენებელი.

გეგმის მაჩვენებლები	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
აუდიტების რაოდენობა	49	54
დაფარვის მაჩვენებელი (მლნ ლარი)	16,522	20,145
დაფარვის მაჩვენებელი (პროცენტი)	90%	91%

აუდიტების განაწილება აუდიტების სახეობების მიხედვით:

რაოდენობა აუდიტის სახეობების მიხედვით	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
ფინანსური აუდიტი	11	14
შესაბამისობის აუდიტი	22	27
ეფექტიანობის აუდიტი	16	13

2021 წელთან შედარებით იზრდება ფინანსური აუდიტების როგორც რაოდენობა, ასევე თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელი. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შემთხვევაში, ინდივიდუალური უწყებების ფინანსური აუდიტების ნაცვლად, ჩატარდება რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგებების ფინანსური აუდიტი.

გეგმის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნა ევროკავშირის ექსპერტების მიერ SAI-PMF-ის[1] შეფასების მიხედვით მიღებული რეკომენდაციები, რის შედეგად, 2018 წლიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დაიწყო უწყებათაშორისი აუდიტების განხორციელება. 2019-2021 წლებში ჩატარდა 6 უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტი. 2022 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმით გათვალისწინებულია 3 მსგავსი ტიპის აუდიტი.

უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტის შედეგებმა ნათლად წარმოაჩინა ამ ტიპის აუდიტის ჩატარების უპირატესობები. აღნიშნული აუდიტის ფარგლებში თემატურად იფარება ათეულობით საბიუჯეტო ორგანიზაცია, განსხვავებით ტრადიციული შესაბამისობის აუდიტისგან, რომელიც კონცენტრირებულია მხოლოდ ერთ უწყებაზე. რამდენადაც შესაბამისობის აუდიტების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები ხშირ შემთხვევაში სისტემურია და საერთოა საბიუჯეტო ორგანიზაციების უმრავლესობისთვის, მსგავსი ნაკლოვანებების აღმოფხვრა ხშირად სცდება ცალკეული უწყების უფლებამოსილებას. სწორედ ამიტომ, მსგავსი მიდგომა საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს საჯარო სექტორში არსებული სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები და გაიცეს შესაბამისი რეკომენდაციები.

[1] უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საქმიანობის შეფასების ჩარჩო, რომლის მიხედვით, სამსახურის საქმიანობა შეფასდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტებთან (ISSAIs) მიმართებით.

შესაბამისად, უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტები რაოდენობრივად ამცირებს ჩატარებულ აუდიტებს, მაგრამ მნიშვნელოვნად ზრდის აუდიტის შედეგად მოტანილ სარგებელსა და დაფარული ორგანიზაციების რიცხვს როგორც ცენტრალურ, ასევე მუნიციპალურ დონეზე. აქედან გამომდინარე, 2022 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმაში სახელმწიფო აუდიტის სამსახური კვლავ ფოკუსირდება უწყებათაშორის შესაბამისობის აუდიტებზე.

2022 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმით ეფექტიანობის აუდიტების რაოდენობა 13-ით განისაზღვრა. მისი წილი მთლიან აუდიტორულ გეგმაში 24%-ს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ წლიური აუდიტორული გეგმის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნა მოქალაქეთა და სხვა დაინტერესებულ პირთა მომართვები. 2020-2021 წლებში სხვადასხვა წყაროდან მიღებული მომართვების 58% გათვალისწინებულ იქნა 2020-2022 წლების აუდიტორული საქმიანობის გეგმებში.

2. აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენის პროცესი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმა განისაზღვრება ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და აუდიტორული საქმიანობის პრიორიტეტების მიხედვით. გეგმის მიზანია, რომ სამსახურის აუდიტორული საქმიანობა ორიენტირებული გახადოს საჯარო ფინანსების მნიშვნელოვან საკითხებზე და ხელი შეუწყოს ორგანიზაციის არსებული რესურსების სწორ განაწილებას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენისას ეყრდნობა აუდიტების შერჩევის რისკებზე დაფუძნებული მიდგომის კრიტერიუმებს.[2] გარდა ამისა, აუდიტის სამსახური ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებსა და ინიციატივებს. დაგეგმვის პროცესში სამსახური ხელმძღვანელობს აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენის რისკებზე დაფუძნებული მეთოდოლოგიით, რომელიც ითვალისწინებს საჯარო სექტორის ფინანსური მართვის სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებაზე უწყების/პროგრამის მნიშვნელობის ზეგავლენას და გამოვლენილი რისკების რეალიზების ალბათობას.

[2] ძირითადი კრიტერიუმებია:

- მხარჯავი უწყებების/პროგრამის ასიგნებების წილი მთლიან საბიუჯეტო ასიგნებებში;
- ზედამხედველობის რისკი;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციებზე რეაგირების მდგომარეობა;
- გარე წყაროების მიერ გამოვლენილი მნიშვნელოვანი მართვის პრობლემები.

ნაწილი 2. აუდიტორული საქმიანობის გეგმა

1. ფინანსური აუდიტები

ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.

ფინანსური აუდიტების შედეგად მიღებული ინფორმაცია აისახება „სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში. სახელმწიფო აუდიტის სამსახური კანონით ვალდებულია პარლამენტს წარუდგინოს „სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ მოხსენება, მთავრობის მიერ ანგარიშის მომზადებიდან 50 დღის ვადაში (არაუგვიანეს 20 მაისისა).

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018-2022 წლების განვითარების სტრატეგია მიზნად ისახავს ფინანსური აუდიტის ფარგლებში ბიუჯეტის 90%-იანი და მეტი დაფარვის უზრუნველყოფას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. 2021 წელს ჩატარებული აუდიტებით სამსახურმა მიაღწია დასახულ მიზანს და დაფარა ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის 90%. შესაბამისად, სამსახური გეგმავს 2022 წლის დაფარვის მაჩვენებლის კიდევ უფრო გაზრდას – 90%-დან 91%-მდე.

2022 წელს განსაზღვრულია 14 ფინანსური აუდიტის ჩატარება:

- 11 ფინანსური აუდიტი – ცენტრალურ ბიუჯეტში
- 1 ფინანსური აუდიტი – აჭარის ა/რ-ის ბიუჯეტში
- 1 ფინანსური აუდიტი – აფხაზეთის ა/რ-ის ბიუჯეტში
- 1 ფინანსური აუდიტი – მუნიციპალურ ბიუჯეტში.

ფინანსური აუდიტებით დაიფარება:

- ცენტრალური ბიუჯეტის 94%
- აჭარის ა/რ-ის ბიუჯეტის 100%
- აფხაზეთის ა/რ-ის ბიუჯეტის 100%
- მუნიციპალური ბიუჯეტების 52%.

N	ბიუჯეტის დონე	აუდიტის დასახელება	აუდიტის პერიოდი	დეპარტამენტი	აუდიტის მიზანი
1	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2021	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.
2	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	2021	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.

3	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2021	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.
4	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	2021	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.
5	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	2021	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.
6	ცენტრალური ბიუჯეტი	სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს პროექტი „მცენარეთა დაცვის სისტემის ინიციატივა“	2021-2022	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	ფინანსური აუდიტის მიზანია მოსაზრების გამოთქმა, იმის თაობაზე, წარდგენილია თუ არა USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის „ხარჯების ანგარიშგება“ ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით საერთაშორისოდ აღიარებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და უცხოური ორგანიზაციებისთვის შექმნილი USAID-ის ფინანსური აუდიტის გაიდლაინების (ADS 591) შესაბამისად.
7	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	2021	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.
8	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	2021	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.
9	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	2021	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.

10	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	2021	საერთო დანიშნულების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.
11	ცენტრალური ბიუჯეტი	საგადასახადო შემოსავლები	2021	საერთო დანიშნულების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.
12	აფხაზეთის ა/რ-ის ბიუჯეტი	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება	2021	აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.
13	აჭარის ა/რ-ის ბიუჯეტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება	2021	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.
14	მუნიციპალური ბიუჯეტი	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ფინანსური ანგარიშგება	2021	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.

2. უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტები

უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტების ჩატარება აუდიტის სამსახურის ახალი მიმართულებაა, რაც მიზნად ისახავს საჯარო სექტორში სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების გამოვლენას.

2022 წლის გეგმით განისაზღვრა 3 უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტი:

N	აუდიტის დასახელება	აუდიტის პერიოდი	დეპარტამენტი	აუდიტის მიზანი
1	2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა (პროგრამის კოდი: 01 00) და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი	2020-2021	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით, დასკვნის ჩამოყალიბება იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმებს.

2	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი	2020-2021	აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში	აუდიტის მიზანია შეისწავლოს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების მდგომარეობა და კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობა.
3	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიღების, გამოყენებისა და მათზე გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი	2020-2021	აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში	აუდიტის მიზანია შეისწავლოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიღების, გამოყენებისა და მათზე გაწეული ხარჯების კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

3. შესაბამისობის თემატური აუდიტები

შესაბამისობის აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის ოპერაციებისა და საქმიანობის შესაბამისობის შეფასება კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ ნორმებთან, სახელშეკრულებო და საგრანტო მოთხოვნებთან, ასევე ორგანიზაციული მართვის პოლიტიკასა და პროცედურებთან. შესაბამისობის აუდიტი საშუალებას იძლევა ყურადღება გამახვილდეს უფრო მაღალი რისკის მატარებელ და აქტუალურ თემებზე.

2022 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმით განისაზღვრა 24 შესაბამისობის (თემატური) აუდიტის ჩატარება, მათგან:

- ცენტრალური ხელისუფლების დონეზე – 8 შესაბამისობის აუდიტი;
- აჭარის ა/რ-ში – 6 შესაბამისობის აუდიტი;
- აფხაზეთის ა/რ-ში – 1 შესაბამისობის აუდიტი;
- მუნიციპალიტეტებში – 9 შესაბამისობის აუდიტი.

N	აუდიტის დასახელება	აუდიტის პერიოდი	დეპარტამენტი	აუდიტის მიზანი
1	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესის შესაბამისობის აუდიტი	2018-2021	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესის შესაბამისობა კანონმდებლობისა და სხვა მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნებთან.
2	დევნილთა საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის შესაბამისობის აუდიტი	2020-2021	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს დევნილთა საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის პროცესის შესაბამისობა კანონმდებლობისა და სხვა მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნებთან.
3	ხელბურთის ეროვნული ფედერაციის შესაბამისობის აუდიტი	2019-2021	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის საქმიანობის შესაბამისობა კანონმდებლობისა და სხვა მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნებთან.
4	სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ 2018-2020 წლებში	2018-2020	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების დროს მიღებული გადაწყვეტილებების კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ

	განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი*			ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები.
5	COVID-19 პანდემიის საპასუხოდ ჯანდაცვის სისტემაში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი*	2020-2021	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი ერთეულების მიერ ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის საპასუხოდ განხორციელებული შესყიდვების კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები.
6	სს „საქართველოს რკინიგზის“ შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი	2020-2021	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ განხორციელებული შესყიდვების საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის საკითხები.
7	სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) შესაბამისობის აუდიტი	2020-2021	საერთო დანიშნულების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს საქსტატის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის საკითხები.
8	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის აქტივების მართვისა და სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი*	2019-2020	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს აქტივების მართვისა და განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები.
9	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციების (სსიპ-ები) ფულადი სახსრების მიღება-ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენების შესაბამისობის აუდიტი	2020-2021	აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში	აუდიტის მიზანია შეისწავლოს ფულადი სახსრების მიღება-ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენების შესაბამისობა კანონმდებლობის მოთხოვნებთან.
10	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2020-2021	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	აუდიტის მიზანია შეისწავლოს აუდიტის საგნის შესაბამისობა კანონმდებლობისა და სხვა მარეგულირებელი ნორმების (კრიტერიუმების) მოთხოვნებთან.
11	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პროგრამის – „მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება“ ფარგლებში გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი	2020-2021	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	აუდიტის მიზანია შეისწავლოს აუდიტის საგნის შესაბამისობა კანონმდებლობისა და სხვა მარეგულირებელი ნორმების (კრიტერიუმების) მოთხოვნებთან.

* აუდიტი გარდამავალი ტიპის აუდიტია, რომელიც დაიწყო 2021 წელს და დასრულდება 2022 წელს.
* აუდიტი გარდამავალი ტიპის აუდიტია, რომელიც დაიწყო 2021 წელს და დასრულდება 2023 წელს.
* აუდიტი გარდამავალი ტიპის აუდიტია, რომელიც დაიწყო 2021 წელს და დასრულდება 2022 წელს.

12	ქედის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2020-2021	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2020-2021 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებები.
13	შუახევის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2020-2021	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2020-2021 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებები.
14	ხულოს მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2020-2021	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2020-2021 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებები.
15	შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიის“ საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2020-2021	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	აუდიტის მიზანია შეისწავლოს აუდიტის საგნის შესაბამისობა კანონმდებლობისა და სხვა მარეგულირებელი ნორმების (კრიტერიუმების) მოთხოვნებთან.
16	ახმეტის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2020-2021	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2020-2021 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებები.
17	ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2020-2021	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2020-2021 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების

				განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებები.
18	გორის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2020-2021	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2020-2021 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებები.
19	დუშეთის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2020-2021	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2020-2021 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებები.
20	თელავის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2020-2021	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2020-2021 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებები.
21	თიანეთის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2020-2021	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2020-2021 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებები.

22	ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2020-2021	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2020-2021 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებები.
23	ხობის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2020-2021	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2020-2021 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობის საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებები.
24	შპს „თბილსერვის ჯგუფის“ 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2020-2021	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს აუდიტის საგნის შესაბამისობა კანონმდებლობისა და სხვა მარეგულირებელი ნორმების (კრიტერიუმების) მოთხოვნებთან.

4. ეფექტიანობის აუდიტები

ეფექტიანობის აუდიტი თანამედროვე საჯარო სექტორის აუდიტის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია სახელმწიფო მმართველობის ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის შესაფასებლად. ეფექტიანობის აუდიტი მიზნად ისახავს შეაფასოს, რამდენად იქნა მიღებული გადახდილი ფასის შესაბამისი სარგებელი. ეფექტიანობის აუდიტის განხორციელება ხელს უწყობს საჯარო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, საბიუჯეტო სახსრების დაზოგვას, მათ მიზანმიმართულად და ეფექტიანად გამოყენებას.

2022 წლის გეგმით გათვალისწინებულია 13 ეფექტიანობის აუდიტი, რაც მთლიანი აუდიტორული საქმიანობის (54 აუდიტი) 24%-ს შეადგენს.

N	აუდიტის დასახელება	სფერო	დეპარტამენტი	აუდიტის მიზანი
1	დაავადებების პრევენცია	ჯანმრთელობის დაცვა	ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს დაავადებათა ადრეული გამოვლენის ღონისძიებები, რაც მოიცავს ადრეული სკრინინგის ღონისძიებებს გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებისთვის და ოჯახის ექიმის ფუნქციას ამ მიმართულებით.

2	აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის განვითარება და მართვა*	ეკონომიკური საქმიანობა	ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს „აგროდაზღვევის პროგრამის“ დიზაინი, მისი განხორციელების პროცესი, პროგრამის ხელმისაწვდომობა და შესაბამისობა ფერმერების საჭიროებებთან.
3	საჯარო სექტორში დისტანციური მუშაობისათვის ეფექტიანი და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა*	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს საჯარო სექტორის მზაობა უწყვეტად მიაწოდოს მოქალაქეებს სახელმწიფო სერვისები. კერძოდ, შეფასდება ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის პერიოდში საჯარო მოხელეებისთვის დისტანციურად მუშაობისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებული ღონისძიებები.
4	ინტერნეტის ხელმისაწვდომობა	ეკონომიკური საქმიანობა	ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს საქართველოს მთავრობის 2016 წლის N375 დადგენილებით განსაზღვრული „საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ განხორციელება. ასევე, ამავე მიმართულებით შეფასდება 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგიის ზოგიერთი კომპონენტი.
5	ზოგადი განათლების მართვის მოდელი	განათლება	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს ზოგადი განათლების მართვის მოდელის, მის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისა და დანერგილი მექანიზმების ეფექტიანობა.
6	სამედიცინო პერსონალის პროფესიული განვითარება	ჯანმრთელობის დაცვა	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს სამედიცინო პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით გატარებული ღონისძიებებისა და დანერგილი მექანიზმების ეფექტიანობა.
7	საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების კომპონენტის (ინტენსიური თერაპიის) ფარგლებში სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება*	ჯანმრთელობის დაცვა	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების ფარგლებში სამედიცინო დაწესებულებების მიერ გაწეულ მომსახურებაზე ფასწარმოქმნისა და მისი ანაზღაურების ეფექტიანობის საკითხები.
8	შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (SRAMP)	ეკონომიკური საქმიანობა	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აღნიშნულ პროექტს (SRAMP) მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ახორციელებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დამოუკიდებელი აუდიტის დასრულების შემდგომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი მსოფლიო ბანკს წარუდგენს აუდიტის დასკვნას. აღნიშნული დასკვნა საჭიროა მსოფლიო ბანკიდან მიღებული დაფინანსების სესხად აღიარებისათვის.
9	COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებით შექმნილი საკარანტინო ზონების მართვა*	ეკონომიკური საქმიანობა	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის გავრცელების რისკების შემცირების მიზნით შეიქმნა საკარანტინო სივრცეები, რომლებიც უზრუნველყოფენ რისკჯგუფებს მიკუთვნებული პირების დროებით იზოლირებას. აუდიტის მიზანია შეისწავლოს პროექტის მართვის ეფექტიანობის საკითხები.

* აუდიტი გარდამავალი ტიპის აუდიტია, რომელიც დაიწყო 2021 წელს და დასრულდება 2022 წელს.
* აუდიტი გარდამავალი ტიპის აუდიტია, რომელიც დაიწყო 2021 წელს და დასრულდება 2022 წელს.
* აუდიტი გარდამავალი ტიპის აუდიტია, რომელიც დაიწყო 2021 წელს და დასრულდება 2022 წელს.
* აუდიტი გარდამავალი ტიპის აუდიტია, რომელიც დაიწყო 2021 წელს და დასრულდება 2022 წელს.

10	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის მიერ განხორციელებული საქმიანობა	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	საერთო დანიშნულების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეფასდეს რამდენად ეფექტიანად უზრუნველყოფს ბიზნესომბუდსმენი საქართველოს ტერიტორიაზე პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ზედამხედველობას.
11	პროგრამა „სტარტაპ საქართველო“	ეკონომიკური საქმიანობა	საერთო დანიშნულების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეაფასოს, რამდენად ეფექტიანად უზრუნველყო პროგრამამ მიზნის მიღწევა ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური კომპონენტის ნაწილში. ასევე, რამდენად შეუწყო ხელი საქართველოში ინოვაციურ იდეებზე დაფუძნებული ბიზნესის განვითარებას.
12	სამხედრო განათლების სისტემა	თავდაცვა	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეაფასოს თავდაცვის სამინისტროს მიერ სამხედრო განათლების მართვის პროცესის ეფექტიანობა.
13	მუნიციპალიტეტების მიერ 2020-2021 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელება	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი	აუდიტის მიზანია შეისწავლოს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში პროექტების შერჩევის, განხორციელების, დაფინანსების მეთოდებისა და მიღწეული შედეგების ეფექტიანობა.